

## ერთი ტიპის წინადადებათა აგებულებისათვის

### ავტორი ბურჭულაძე თეა

თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი, პ. ინგოროყვას 8

ელფოსტა: [burchuladzetea@gmail.com](mailto:burchuladzetea@gmail.com)

### ანოტაცია

თავისებურებას ქმნის ისეთი კონსტრუქციები, სადაც ორ ზმნას შორის, რომელთაგან მეორე კავშირებით მწკრივშია გამოყენებული, **რომ** კავშირი გამოტოვებულია და არც მძიმითაა გამოყოფილი: „ჩვენი მხრიდან ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დარჩეს ადეკვატური რეაგირების გარეშე“; „რა შეუძლია გააკეთოს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კრიზისის გადასალახავად?“; „გთხოვთ დამნიშნოთ აღნიშნულ თანამდებობაზე“.

ისინი რთული ქვეწყობილი წინადადებებია, რომლებშიც კავშირი გამოტოვებულია. მარტივ წინადადებად მიჩნევის შემთხვევაში ისე აღმოჩნდება, რომ ორი ზმნა მოიყრის თავს, რაც არ ახასიათებს მარტივ წინადადებას. ვფიქრობთ, აქ უმთავრესი წინადადების აგებულების დადგენაა. კავშირისა თუ მძიმის დასმა-არდასმა არ წყვეტს / არ ცვლის საკითხს – ესაა ჰიპოტაქსური წინადადებები და მისი სახეობა დადგინდება იმისდა მიხედვით, თუ მთავარი წინადადების რომელ წევრს განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადება. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ წინადადების სტრუქტურა ნათელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ ფორმებში მძიმეს დავწერთ, რაც თავისთავად გამოკვეთს წინადადების აგებულებას და ამასთან ერთად არ დაირღვევა პუნქტუაციაში მიღებული წესი: **რომ** კავშირი სადაც გამოტოვებულია, მაგრამ იგულისხმება, მძიმე დაისმის.

საკვანძო სიტყვები: წინადადება, აგებულება, შესიტყვება

სინტაქსის საკვანძო საკითხთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინადადების ამა თუ იმ წევრის გრამატიკული ფუნქცია და შესიტყვების პრობლემატიკა. ამ თვალსაზრისით ზოგი საკითხი დაზუსტებას საჭიროებს. სამეცნიერო ლიტერატურაში დეტალურადაა გაანალიზებული ქართული ენის წინადადების აგებულების საკითხი, გამოყოფილია სტრუქტურულად განსხვავებული სამი სახე: მარტივი, შერწყმული და რთული. თავისებურებას ქმნის განსაკუთრებით ისეთი კონსტრუქციები, სადაც ორ ზმნას შორის, რომელთაგან მეორე კავშირებით მწკრივშია გამოყენებული, **რომ** კავშირი გამოტოვებულია და არც მძიმითაა გამოყოფილი: „გადავწყვიტე დავარდვიო ჩემი ჩვეულება“; „ცდილობდა სახის ერთი პატარა ნერვის გატოკებით მიმხვდარიყო ამას“; „კანონმდებლობა აიძულებს ადამიანებს გამოიყენონ ღვედი“; „პრეჰოსპიტალურ პერსონალს აქვს შესაძლებლობა ყურადღება გაამახვილოს

ადამიანების დარწმუნებაზე“; „მან მოულოდნელად გადაწყვიტა წასულიყო მეგობართან“; „ის გამუდმებით ცდილობდა შეესრულებინა რთული საქმე“; „ქალი ცდილობდა ყოველივე ეს მტკიცედ ეთქვა“; „საზოგადოების უდიდესი ნაწილი ცდილობს არ დაარღვიოს კანონი“.

ასეთ შემთხვევებში გაურკვეველი რჩება როგორც ამგვარი წინადადების აგებულება, ასევე მასში შემავალი წევრების შესიტყვების საკითხი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **რომ** კავშირის გამოტოვებისას კავშირებითი ზმნის წინ მძიმე არ დაისმის: „**შეიძლება** დარჩეს“, „**შეუძლია** გააკეთოს“, „**გთხოვთ** დამნიშნოთ“. ქართულში აქ კავშირებითი ფორმა შინაარსობრივად უდრის მასდარს (მოქმედების სახელს) (თოფურია 2005 : 106): „ჩვენი მხრიდან ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დარჩეს ადეკვატური რეაგირების გარეშე“; „რა შეუძლია გააკეთოს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კრიზისის გადასალახავად?“; „გთხოვთ დამნიშნოთ აღნიშნულ თანამდებობაზე“. მოყვანილ წინადადებებში მართლაც ჩანს კავშირებითი დასმული ზმნის მასდარის დანიშნულებით გამოყენება. აქ შესაძლებელია როგორც კავშირის ჩასმა, ასევე მძიმით გამოყოფა წინა ზმნისაგან: ჩვენი მხრიდან ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, დარჩეს ადეკვატური რეაგირების გარეშე / ჩვენი მხრიდან ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ დარჩეს ადეკვატური რეაგირების გარეშე; რა შეუძლია, გააკეთოს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კრიზისის გადასალახავად? / რა შეუძლია, რომ გააკეთოს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კრიზისის გადასალახავად?; გთხოვთ, დამნიშნოთ აღნიშნულ თანამდებობაზე / გთხოვთ, რომ დამნიშნოთ აღნიშნულ თანამდებობაზე.

წინადადების აგებულების სპეციფიკა ვლინდება განსაკუთრებით მაშინ, როცა დასახელებული ფორმები კიდევ უფრო რთული კონსტრუქციის წინადადებებშია მოქცეული: „ჩვენი თარგმანებით საქმეში ჩაუხედავ კაცს კი მართლა **შეიძლება დარჩეს** ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ქართული ენა **უძლურია** ნორმალურად **გადმოსცეს** უმარტივესი დეტექტიური ინტრიგის პერიპეტიები“; „გვერდიდან თუ შეხედავ, **შეიძლება დარჩეს** შთაბეჭდილება, რომ მათ მართლა არ სურთ ვმო-ში გაწევრიანება და მხოლოდ მიზეზს ეძებენ, როგორ დააბრალონ ეს სხვა ქვეყანას“; „**შეიძლება დარჩეს** მათთვის რაღაც ნიშა, მაგრამ სულ უფრო შემცირდება“; „მას **შეუძლია გააკეთოს** ის, რაც მას სურს“; „ამჟამად პარტიას აქვს ისეთი ტიპის უპირატესობა, რომ ყველაფერი **შეუძლია გააკეთოს**“. ამგვარ წინადადებებში მართლაც მკვეთრად ჩანს კავშირებითი მდგარი ზმნის მასდარობა, რადგან წინადადებაში გამოკვეთილადაა გამოყოფილი (ზოგჯერ კავშირის, ზოგჯერ – მძიმის საშუალებით) დამოკიდებული წინადადება: **შეიძლება დარჩეს** შთაბეჭდილება, რომ მათ მართლა არ სურთ ვმო-ში გაწევრიანება; **შეიძლება დარჩეს** მათთვის რაღაც ნიშა, მაგრამ სულ უფრო შემცირდება“; „მას **შეუძლია გააკეთოს** ის, რაც მას სურს“.

სტრუქტურის თვალსაზრისით კონსტრუქცია მეტად თავისებური ხდება შემდეგი ტიპის წინადადებებში: „ამჟამად პარტიას აქვს ისეთი ტიპის უპირატესობა, რომ ყველაფერი **შეუძლია გააკეთოს**“; „საფრანგეთი აცხადებს, რომ **კადაფის** შეუძლია **დარჩეს** **ლიბიაში**“; „შაბათს გლაზგოში გამოსვლისას მან თქვა, რომ **აღარ შეუძლია დარჩეს** **პარტიის** **ლიდერის** **პოსტზე**“. ყურადღება გასამახვილებელია იმ გარემოებაზე, რომ ამგვარ წინადადებებში შემავალ დამოკიდებულ წინადადებაში ვერც აღდგება კავშირი **რომ** და ვერც მძიმით გამოვყოფთ – ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ **შეუძლია გააკეთოს**, **შეუძლია დარჩეს** დამოკიდებულ წინადადებაშია დასმული, კავშირი **რომ** თვითონ ჰიპოტაქსური წყობის ნაწილთა შესაკავშირებლად გამოიყენება და ამიტომ

აღარც ივარაუდება. ვფიქრობთ, სწორედ ამ შემთხვევებში ავლენს ის განსაკუთრებით მასდარის სემანტიკას (შდრ.: შეუძლია გააკეთება, შეუძლია დარჩენა). სტრუქტურულად ასეთი წინადადებები ისედაც ჰიპოტაქსურია, სინტაქსურად გამოყოფილი მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისგან არის შემდგარი და არც გაურკვევლობას ქმნის, თუმცა იმთავითვე უნდა ითქვას, რომ დამოკიდებული წინადადების შესიტყვებათა გამოყოფისას გასათვალისწინებელია ის, რომ **შეუძლია გააკეთოს, შეუძლია დარჩეს** ფორმები არ გამოიყოფა სინტაქსურ წყვილებად.

ზემოთ დასახელებული წყობის დროს, ერთი მხრივ, დგას მძიმის დასმის საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, წინადადების აგებულებისა – რთული ქვეწყობილია თუ მარტივი? მოხმობილ ფორმებს (შეუძლია გააკეთოს, შეუძლია დარჩეს, გთხოვთ გამათავისუფლოთ...) ხშირ შემთხვევაში ერთიან ზმნად მოიაზრებენ ხოლმე. ცხადია, თუ კავშირებითის მწკრივში დასმულ ზმნას (დავარღვიო, მიმხვდარიყო, გამოიყენონ, გაამახვილოს, წასულიყო, შეესრულებინა, დამნიშნოთ, დარჩეს...) შინაარსობრივად მასდარის ფუნქციად მივიჩნევთ, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მაშინ ის ჰიპოტაქსური წყობისა ვერ იქნება და აგებულებით მარტივ წინადადება სდამსგავსება: „ის შეიძლება დარჩეს ამ კვირის ბოლომდე ჩემთან“; „მას შეუძლია გააკეთოს ეს ყველაფერი“; „გთხოვთ დამნიშნოთ ამ თანამდებობაზე“; „მან გადაწყვიტა წასულიყო მეგობართან“; „ის გამუდმებით ცდილობდა გაეკეთებინა რთული საქმე“. ამ სტრუქტურის წინადადებებში არაა კავშირი, არც მძიმე, რაც რთული წინადადების აგებულებაზე მიუთითებდა. აქ დაისმის კითხვა – მოყვანილ წინადადებებში კავშირებით მწკრივში გამოყენებული ზმნები შინაარსობრივად რომ უდრის მასდარს, ფუნქციაც იგივე აქვს? სინტაქსურად რა წევრია ის? თუ ფუნქციით მასდარია, მაშინ უნდა გამოიყოს სინტაქსური წყვილი, როგორც ეს ზმნისა და სახელზმნის შემთხვევებში გვაქვს: უნდოდა ცეკვა, შეეძლო ემდერა, შეძლო მუშაობა... მაგრამ მსგავსია კი? შინაარსობრივი და სინტაქსური ფუნქციები სხვადასხვაა. **შეუძლებელია ამგვარი სინტაგმების გამოიყოფა: შეუძლია გააკეთოს, გთხოვთ დამნიშნოთ, შეიძლება დარჩეს.** მოყვანილ შესიტყვებებში სინტაქსურად ორივე წევრი ზმნაა. სიტყვათა შეკავშირებისას ორი ზმნა არ მონაწილეობს. როგორც ცნობილია, შესაძლებელია მხოლოდ ზმნამ და სახელმა ან სახელმა და სახელმა შექმნას სინტაქსური წყვილი. ასევე ზმნამ შეიძლება აზრობრივად მიიერთოს ფორმაუცვლელი სიტყვა. აღნიშნულია, რომ შემასმენელს სინტაქსური კავშირი აქვს ყველა დანარჩენ წევრთან, ხოლო სხვებს – თითო წევრთან (კვაჭაძე 2010 : 10). მართალია, მოხმობილ წინადადებებში ზმნები შინაარსობრივად ეთანხმებიან ერთმანეთს, მაგრამ არა გრამატიკულად. აქ სემანტიკურად ზმნამ შეიძლება ფორმაუცვლელი სიტყვა მიიერთოს, რაც ერთ-ერთი სახე – მირთვავა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მეორე კომპონენტი ზმნაა და არა ფორმაუცვლელი სიტყვა. ვერც ამ ტიპის სამწევრა შესიტყვება გამოიყოფა: მას შეუძლია გააკეთოს; მან შეიძლება გადაწყვიტოს; თუ ამგვარ კონსტრუქციებში **რომ** კავშირია, სურათი ნათელია – წინადადება რთული ქვეწყობილია: გთხოვთ, რომ დამნიშნოთ ამ თანამდებობაზე; შეუძლია, რომ დარჩეს ამ კვირის ბოლომდე; შეუძლია, რომ გააკეთოს ეს ყველაფერი. სინტაქსური თვალსაზრისით იცვლება თუ არა რამე კავშირის გამოტოვებით? ჩვენ მიერ დასახელებული წინადადებები **რომ** კავშირის გამოტოვებისას ფორმობრივად ემსგავსება მარტივ წინადადებას, თუმცა, ტრადიციული მარტივი წინადადებისაგან განსხვავებით, მასში ორი ზმნა იყრის ერთად თავს. ცხადია, ვ. თოფურისა მოსაზრება ამგვარ წინადადებებში კავშირებითში დასმული ზმნის მასდარის შინაარსობრივი ფუნქციის შესახებ აშკარად იკვეთება და ამიტომ არც აუცილებლობა არაა მძიმის დასმისა, მაგრამ საკითხის სირთულეს იწვევს სწორედ მათი სინტაქსური აგებულება. ესე იგი მძიმის არდასმის შემთხვევაში მარტივი წინადადების კლასიფიკაციას ვერ მივანიჭებთ,

რადგან ის სინტაქსურად ჰიპოტაქსური წყობისაა. მათში გამოიყოფა მთავარი და დამოკიდებული წინადადებები. **შინაარსობრივი ფუნქცია არაა სინტაქსური ფუნქციის ტოლძალოვანი და უნდა ვიხელმძღვანელოთ გრამატიკული დანიშნულების მიხედვით.**

ამდაგვარივეა **ცდილობდა წასულიყო, გადაწყვიტე მოვსულიყავი** ტიპის ფორმები. ანალიზიც ანალოგიური იქნება: ისინი რთული ქვეწყობილი წინადადებებია, რომლებშიც კავშირი გამოტოვებულია. მარტივ წინადადებად მიჩნევის შემთხვევაში ისე აღმოჩნდება, რომ ორი ზმნა მოიყრის თავს, რაც არ ახასიათებს მარტივ წინადადებას. რამდენადაა გამოსავალი კავშირებით მწკრივში მდგარი ზმნის შინაარსობრივი ფუნქციით მასდარად მიღება? შევადაროთ: ცდილობდა წასვლას, გადაწყვიტა მოსვლა... მაშინ კვალიფიკაცია ასეთი იქნება – ფორმობრივად ზმნაა, მაგრამ სინტაქსური ფუნქციით რა არის? მასდარი სინტაქსურად შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი დამატება. აქ უსათუოდ დადგება შესიტყვებაში შემავალი წევრების სინტაგმატიკის საკითხი. როგორც ცნობილია, წინადადების წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით უკავშირდება. ხოლო წევრებს შორის ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია (კვაჭაძე 2010 :9).

ჩვენ შევნიშნავდით, რომ სინტაქსურ წყვილად გამოიყოფა სახელზმნით შედგენილი ფორმები შემდეგი ტიპის წინადადებებში: დედამ ლამაზად კერვა იცოდა, მან უცბად წასვლა გადაწყვიტა, მასწავლებელმა მოულოდნელად გამოჩენა იცოდა. აქ გამოვყოფთ **ლამაზად კერვა, უცბად წასვლა, მოულოდნელად გამოჩენა** ტიპის შესიტყვებებს. ზმნა ფართო მნიშვნელობით, როგორც ცნობილია, სახელზმნასაც გულისხმობს, რომლებიც დაქვემდებარებულ წევრებს პირიანი ფორმებივით იკავშირებენ. განსხვავება მათ შორის მინიმალურია [კვაჭაძე 2010 :38]. ამიტომ სახელზმნით მიღებული შეკავშირებები სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე არ განხილულა. ზემოთ მოყვანილ ფორმებში შესიტყვების წევრებად წარმოდგენილია გარემოება და სახელზმნა. მოყვანილი ფორმები სინტაგმებია, რომელთა წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ სინტაქსურადაც. მათ შორის სინტაქსური კავშირი მირთვაა – სახელი (გარემოება – ლამაზად, უცბად, მოულოდნელად) მიერთვის სახელზმნას (კერვა, წასვლა, გამოჩენა), ხოლო მართვაა, მაგალითად, ფანქრით ხატვა, წყლით წუწობა, ჩანთით სიარული ტიპის შეკავშირებებში. ეს ისეთივე შემთხვევაა, როგორც გვაქვს ტყის ჰაერის, აგურის სახლის მსგავს შესიტყვებებში (ბურჭულაძე 2018 : 42).

თუ შინაარსობრივად **ცდილობდა წასულიყო** ფორმას მივიჩნევთ მასდარად, ფუნქცია სინტაქსური რა იქნება? ეს ვერ იქნება ზმნა + მასდარი (ცდილობდა წასვლას), ესაა ზმნა + ზმნა. თუ შემასმენელს აქ შინაარსობრივად მიერთვის **წასულიყო**, მაშინ სინტაქსურად მაინც ზმნა + ზმნაა, ოღონდ მასდარის ფუნქციით.

როგორც ცნობილია, სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია: ზოგჯერ სინტაგმის ერთი წევრია გაბატონებული და მეორე – მასზე დაქვემდებარებული, ანუ ცალმხრივი დაქვემდებარება (სუბორდინაცია). ზოგჯერ კი სინტაგმებში უფრო რთული ურთიერთმიმართებაა, როცა დაქვემდებარება საურთერთოა, ორმხრივი (კოორდინაცია) [კვაჭაძე 1996 :32-33]. ჩვენ მიერ მოხმობილ შემთხვევებში კი არცერთი მათგანია. გარდა ამისა, აქ მთავარი ფაქტორი ის გახლავთ, რომ შესიტყვებას ვერ მივიღებთ, თუ არ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება სიტყვათა შორის, თუნდაც რომ თითოეულ სიტყვას თავისი ფორმა ჰქონდეს: „არ ყოფილა საკმარისი ყოველ სიტყვას ჰქონდეს ფორმა. აუცილებელია ყოფილა მათ ჰქონდეთ

განსაზღვრული ფორმა, რომელიც შეეხამება სხვა ფორმას და მოგვცემს შესიტყვებას, ბუნებრივს ამა თუ იმ ენისათვის“ (ჩიქობავა 1968 : 114).

თავისებურებას ქმნის მოდალური ზმნისა და კავშირებითის ფორმათა შეხამებით მიღებული სინტაქსური კონსტრუქცია. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანამედროვე ქართულში ფართოდ გავრცელებული **მინდა წავიდე** ტიპის ფორმები ერთ წევრად იქნეს გაგებული და მას პირობითად ორზომიანი ანუ ბივერბალური შემასმენელი ეწოდოს (კოტინოვი). ასეთ შემთხვევებში კონსტრუქციის წევრებს საერთო აქვთ ქვემდებარე. ისინი მიღებულია რთული ქვეწყობილი წინადადების რღვევის შედეგად. ბივერბალური შემასმენლის შემცველი წინადადება მარტივია და არა რთული ქვეწყობილი. კონსტრუქციის წევრებს სხვადასხვა ფუნქცია აქვთ: კავშირებითის ფორმა ძირითად მოქმედებას გადმოგვცემს, მოდალური – მოქმედებისადმი განწყობა-დამოკიდებულებას. ამასთანავე, მათ შორის გარკვეული მიმართებაა: მოდალური ზმნა მართავს კავშირებითის ფორმას, საერთო ქვემდებარე კი მართავს მოდალურ ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში. ბივერბალური შემასმენლის შემცველი მარტივი წინადადება რომ რთული ქვეწყობილი წინადადების გარდაქმნის შედეგად არის მიღებული, ამის დასადატურებლად ორი ფაქტორია მოყვანილი:

1. უნდა, ჰლამის, ეგების ზმნათა ნაწილაკებად ქცევა;
2. მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა წევრების „აღრევა-გადაადგილება“, როგორც გვაქვს, მაგალითად, ამგვარ წინადადებებში: მე კი სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა – შდრ.: მე კი მინდოდა, რომ სულ სხვა რამ მეთქვა... (კვაჭაძე 2010 : 84).

მიჩნეულია, რომ ამგვარი უკავშირო ქვეწყობილი წინადადებები უკვე გარდაიქცა მარტივებად.

მოხმობილ თვალსაზრისთან დაკავშირებით გამოთქმულია მართებული შენიშვნა, რომ ნაწილაკის დონემდე დასული ზმნის ორზომიან შემასმენლებად დასახელება გაჭირდება. არც იმის საჭიროებაა, რომ მოდალურ ზმნასა და კავშირებითის ფორმას ერთი საერთო ქვემდებარე ჰქონდეს. გარდა ამისა, ძნელია იმ მოსაზრების გაზიარება, რომ „თქვენ გინდათ ტყის კონცერტს დაესწროთ“ ტიპის წინადადებებში ერთი შემასმენელია და რომ ასეთი უკავშირო ქვეწყობილი უკვე გარდაქმნილია მარტივებად (კვაჭაძე 2010 : 85).

გარდა თქმულისა, აქ კიდევ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი. ვფიქრობთ, განსხვავებული ვითარება გვაქვს **უნდა** სიტყვის შემთხვევაში – ქმნის თუ არა ის შესიტყვებას შესაბამის ზმნასთან ან სახელთან ერთად? აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, თუ რა წევრს ახლავს **უნდა** ნაწილაკი – ზმნა-შემასმენელს თუ სახელზმნას: მას **უნდა, რომ წავიდეს** / მას **უნდა წასვლა**. ცნობილია, რომ ეს ნაწილაკი სპეციფიკურია, რადგან წარმოშობით ზმნაა. თუ ის შემასმენელთან კავშირითაა გამოყოფილი (უნდა, რომ წავიდეს), არ ქმნის შესიტყვებას, ხოლო, თუ სახელზმნას ახლავს (მას უნდა წასვლა), მაშინ ის როგორც ზმნა, ისე შევა შესიტყვებაში – 1. **უნდა წასვლა**; 2. **მას უნდა**. შესაძლებელია, **უნდა** ნაწილაკი ახლდეს სახელსაც – მას **უნდა სახლი**. აქაც ის შემასმენლის ფუნქციითაა, ცალკე სახით შევა შესიტყვებაში – 1. **მას უნდა**; 2. **უნდა სახლი**. გამოიკვეთა, რომ კავშირებითისა და ბრძანებითის მწკრივებთან ის ნაწილაკია (უნდა შეძლოს; უნდა იმღეროს) და მაშინ სამწევრა შესიტყვებებს მივიღებთ – **მან უნდა შეძლოს**; **მას უნდოდა შეყვარებოდა**.

მსგავსი ვითარებაა **ჩანს, ეტყობა** სიტყვებთანაც. ზოგ შემთხვევაში ის დამხმარე სიტყვაა, ზოგან კი – სრულმნიშვნელოვანი [ჩიქობავა 2015: 245]. მაგალითად, ის გოგო არსად **ჩანს – ჩანს**, ის

გოგო არ მოვა; დედას სიხარული ეტყობა სახეზე – ეტყობა, დედა წასული დახვდა. მოყვანილ შემთხვევებში თუ ჩანს, ეტყობა სრულმნიშვნელობიანი სიტყვა, ანუ ზმნა-შემასმენელია, მაშინ ის შევა შესიტყვების წევრად ცალკე სახით:

ის გოგო არსად ჩანს

1. ის გოგო (შეთანხმება)
2. გოგო ჩანს (მართვა, კოორდინაცია);
3. არსად ჩანს (მირთვა)

ან:

დედას სიხარული ეტყობა სახეზე

1. დედას ეტყობა (მართვა, კოორდინაცია);
2. სიხარული ეტყობა (მართვა, კოორდინაცია);
3. სახეზე ეტყობა (მართვა)

მაგრამ როცა მათ დამხმარე სიტყვის ფუნქცია აქვთ, მაშინ ის ვერც ცალკე წევრად შევა შესიტყვებაში და ვერც სხვა წევრთან ერთად – ანუ ვერანაირი სახით ვერ იღებს მონაწილეობას შესიტყვებაში. ამასთან ერთად, წინადადებაში ჩანს, ის გოგო არ მოვა – სიტყვა ჩანს ცალკე დგას, განკერძოებულად და არცერთ წევრს არ მიემართება. ანალოგიურია ეტყობა სიტყვაც: 1. ეტყობა, კარგი ადამიანია; 2. სახეზე კმაყოფილება ეტყობა. პირველ შემთხვევაში ის დამხმარე სიტყვაა და ვერ შევა სინტაქსურ წყვილში. მეორე წინადადებაში კი ეტყობა სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, ზმნა და შექმნის შესიტყვებას სათანადო წევრთან ერთად:

1. სახეზე ეტყობა
2. კმაყოფილება ეტყობა [ბურჭულაძე 2018 :95-96]

როგორც ცნობილია, ამჟამად დამხმარე სიტყვაა ეგებ, თუმცა ის წარმოშობით სრულმნიშვნელობიანი სიტყვაა, ზმნა (ეგების – შეეფერება, ხამს, საჭიროა... არ ეგების ) – აღნიშნავს არნ. ჩიქობავა [ჩიქობავა 2015: 245].

ერთი შეხედვით, ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილ წინადადებებში მარტივ წინადადებად გარდაქცეული უკავშირო ქვეწყობილი წინადადებებია. თითქოს ჰგავს ორზმნიან ანუ ბივერბალურ შემასმენელს, მაგრამ ასეთად ვერ მივიჩნევთ, რადგან მათში დამოუკიდებლად ფუნქციონირებს ორი ზმნა. გარდა ამისა, თუკი დავუშვებთ ბივერბალური შემასმენლის ფაქტორს, ეს მარტივი წინადადების აგებულებისა და სწავლების საკითხსაც ბუნდოვანს გახდის.

ჩვენი მიზანი არაა იმის დაზუსტება, აღნიშნული ტიპის წინადადებებში კავშირებით ზმნასთან კავშირის გამოტოვებისას დაესვათ თუ არა მძიმე. ვფიქრობთ, აქ უმთავრესი წინადადების აგებულების დადგენაა. კავშირისა თუ მძიმის დასმა-არდასმა არ წყვეტს / არ ცვლის საკითხს – ესაა ჰიპოტაქსური წინადადებები და მისი სახეობა დადგინდება იმისდა მიხედვით, თუ მთავარი წინადადების რომელ წევრს განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადება. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ წინადადების სტრუქტურა ნათელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ ფორმებში მძიმეს დავწერთ, რაც თავისთავად გამოკვეთს წინადადების აგებულებას და ამასთან ერთად არ დაირღვევა პუნქტუაციაში მიღებული წესი: რომ კავშირი სადაც გამოტოვებულია, მაგრამ იგულისხმება, მძიმე დაისმის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბურჭულაძე 2018: თ. ბურჭულაძე, წინადადების წევრთა სინტაგმატიკის საკითხი ქართულში, თბილისი: გამომცემლობა თსუ, 2018.

თოფურია 2005: ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 2005.

კვაჭაძე 2010: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: გამომცემლობა „ცოტნე“, 2010.

ჩიქოზავა 1968 - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი , თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.